



# WWW.MY.GOV.GE

## საინფორმაციო ფურცელი

გამოშვება #32 მარტი, 2014

### გამოშვებაში წაიკითხავთ

1 ელ.მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის სხდომა

2 ელ.მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობებში

2 საჯარო რეესტრის კიდევ ერთი წარმატებული პროექტი

3 მიმდინარეობს ერთიანი სავაჭრო ქსელის ტესტირების პროცესი

4 საჯარო ფინანსების მართვის სისტემა

4 ელ. დოკუმენტების ბრუნვის სისტემა სამხარეო ადმინისტრაციებში და მერიებში

5 და სხვა

### ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის პირველი სხდომა




პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, 10 მარტს ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე პრემიერმა ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების

მნიშვნელობაზე ისაუბრა და კომისიას საზოგადოებრივი ცენტრების რაოდენობის გაზრდის ინიციატივით მიმართა.

იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ კომისიის წევრებს 2014--2018 წლების სამოქმედო გეგმა და სტრატეგია -- „ციფრული საქართველო“ გააცნო, რომელიც 11 პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავს. გადაწყდა, რომ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, სამუშაო ჯგუფების ფარგლებში, ყოველდღიურ რეჟიმში გაგრძელდეს, ხოლო გაწეული საქმიანობის ანგარიში პრემიერს თვეში ერთხელ წარედგინოს.

კომისიის მიზანი ქვეყანაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების მეშვეობით ელექტრონული მმართველობის განხორციელების საკითხების კოორდინირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაა.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპატენტო სააგენტო

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

## „ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის“ პროექტის შედეგების შეაჯამებელი კონფერენცია



სასტუმრო „მერატონ მეტეხი პალასში“ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის“ პროექტის შედეგების შეაჯამებელი კონფერენცია გახსნა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია; საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ბორის იაროშევიჩი; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან სამადაშვილი; დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

„ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის“ პროექტს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. პროექტის მიზანი ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვის საშუალებით მუნიციპალიტეტის ეფექტური მმართველობის ხელშეწყობაა. ელექტრონული სისტემის ძირითადი დანიშნულება მუნიციპალიტეტის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის ფორმირება, მასზე დაყრდნობით სტატისტიკური ანგარიშების მომზადება, სხვადასხვა საჯარო თუ კერძო უწყების მონაცემთა ბაზებიდან ინფორმაციის ელექტრონულად მოპოვებისა და დოკუმენტების ელექტრონული მართვის საშუალებების შექმნაა, რაც, საბოლოო ჯამში, დაზოგავს მუნიციპალიტეტის ადამიანურ რესურსს, თანამშრომელთა დროს და გააუმჯობესებს მოქალაქეების მომსახურების პროცესს.

პროექტი ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს: სოფლებში სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას და კულტურულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გამართვას, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობების პროგრამულ უზრუნველყოფას. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა „ACT“-ისა და „IPM“-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი ცენტრების ცნობადობისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები.

## საჯარო რეესტრის კიდევ ერთი წარმატებული პროექტი



იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ „დრუბლოვან ტექნოლოგიაზე“ მუშაობა დასრულდა. დრუბლოვანი ტექნოლოგიის შესაქმნელად სააგენტომ სახელმწიფო უწყებებს შორის პირველმა გამოიყენა ღია ტექნოლოგიები (open source), რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის სერვერული მომსახურების მარტივად და სწრაფად მიწოდებას.

საჯარო რეესტრმა „დრუბელზე“ მუშაობა 2013 წელის აგვისტოში დაიწყო. ამ ეტაპზე სააგენტოში არსებული ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და მიგრაცია „დრუბლის“-ის ინფრასტრუქტურაში ხდება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მონაცემთა შენახვის სიტემის ფასს და უზრუნველყოფს

ყოველგვარი დანახარჯის გარეშე, ოპერატიულად მიიღოს სწრაფი და მოქნილი სერვერული მომსახურება.

ისეთი მოცულობითი ინფორმაცია, როგორცაა საჯარო რეესტრის გეოინფორმაციული სისტემები, ელექტრონული რუკები, უძრავი ქონების და ბიზნესის რეგისტრაციის ელ. პროგრამები, ტექნიკური აღრიცხვის ბიუროსა და ეროვნული არქივის ელექტრონული მონაცემები, უკვე სააგენტოს „დრუბელში“ ინახება და მისი მართვაც სწორედ ამ დრუბლოვანი ტექნოლოგიების საშუალებით ხდება (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

სააგენტო უკვე მზად არის ახალი სერვისის შესთავაზოს სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებსაც, რომლებსაც ინფორმაციის „ღრუბლებში“ გადატანით ექნებათ გარანტია, რომ არ მოხდება ამ ინფორმაციის დაკარგვა ან დაზიანება. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ ტექნიკური ინფრასტრუქტურის მართვას ნებისმიერი იმ ადგილიდან, სადაც კი ინტერნეტთან წვდომა იქნება.

პროექტში ჩართვით, ორგანიზაციებს აღარ დასჭირდებათ სერვერების შექმნა, ფუნქციონირებისათვის გამართული გარემოს შექმნა, უწყვეტი ელექტროენერჯის, გაგრილების სისტემის, აპარატურის თავსებადობის და სხვა საკითხების მოწესრიგება, დამატებითი ტექნიკური პერსონალის გამოყოფა სერვერების ექსპლუატაციისთვის და ა.შ., რაც მნიშვნელოვანად შეამცირებს მათ ფინანსურ დანახარჯებს და ახალი პროექტების გაშვების დროს მინიმუმამდე დაიყვანს.

პროექტში ჩართული ორგანიზაციების IT ინფრასტრუქტურა, იქნება „ღრუბლებში“ მოწყობილი და მის მხარდაჭერას უზრუნველყოფს საჯარო რეესტრი. მომსახურებისათვის ორგანიზაციები ყოველთვის ურად ზუსტად იმდენს გადაიხდიან, რა მოცულობასაც გამოიყენებენ ვირტუალურ სერვერზე.

აღნიშნული პროექტი, ყოველგვარი ფინანსური დანახარჯის გარეშე, საჯარო რეესტრის IT დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შეიქმნა. სააგენტო სისტემის უსაფრთხოებას მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფს.

წლის განმავლობაში საჯარო რეესტრი გეგმავს პროდუქტის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას, დაგეგმილია პრეზენტაციები და სემინარები სხვადასხვა უწყებში, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.

## მიმდინარეობს ერთიანი სავაჭრო ქსელის საბოლოო ტესტირების პროცესი



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ხორციელდება ერთიანი სავაჭრო ქსელის პროექტი. პროექტის განვითარების პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებს შემოსავლების სამსახური. პროექტის პირველი ეტაპი მოიცავს პროცესში ჩართულ მხარეებს შორის საზღვაო გადაზიდვების საშუალებით კონტეინერების იმპორტ/ექსპორტის

პროცესების თანმდევი ინფორმაციის ავტომატურად მიმოცვლას.

ამჟამად სისტემის ტესტირების პროცესის ბოლო ეტაპი მომდინარეობს. სისტემაში ჩართული მხრეები არიან: შემოსავლების სამსახური, რკინიგზა, ფოთისა და ბათუმის პორტები, საზღვაო ხაზები, ტერმინალები, ექსპედიტორები.

ერთიან სავაჭრო ქსელში ჩართულ სუბიექტებს მოეხსნებათ საქმიანობასთან დაკავშირებული დღემდე არსებული შემაფერხებელი ბარიერები, გაუმარტივდებათ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებთან ურთერთობის კოორდინაცია და ისარგებლებენ ე.წ. ერთი ფანჯრის მომსახურების პრინციპით. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ახალი ინვესტიციების შემოღებას და კიდევ უფრო აამაღლებს საქართველოს, როგორც ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველი ქვეყნის რეპუტაციას.

ერთიანი სავაჭრო ქსელი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთერთთანამშრომლობის კიდევ ერთ წარმატებულ მაგალითს. ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბება ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, რომლის პროექტი „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა“ ინტენსიურადაა ჩართული აღნიშნულ პროცესში.



## საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საჯარო ფინანსების მართვის სისტემა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებში




ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური განაგრძობს თავისი ელექტრონული სისტემების დანერგვასა და განახლებას სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობის მოთხოვნის საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში დაინერგა საჯარო ფინანსების მართვის სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია ბიუჯეტის ელექტრონული მართვისა და ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში კი განხორციელდა აღნიშნული

სისტემების მოდერნიზება.

ეს არის თანამდეროვე, სპეციალიზებული კომპიუტერული სისტემა, რომლის გამოყენებით ელექტრონულად ხორციელდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და მისი აღსრულების პროცესები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასების, პენსიებისა და სხვა ფულადი სახსრების გადარიცხვა. აღნიშნული სისტემა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებს საშუალებას მისცემს განახორციელონ თავიანთი საქმიანობა გამჭვირვალედ, ეფექტიანად, ნაკლები დროითა და ადმინისტრაციული დანახარჯებით.

## საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დოკუმენტრუნვის სისტემა საქართველოს სამხარეო ადმინისტრაციებსა და მერიებში



საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინიციატივით სსიპ საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა დაიწყო თავისი პროდუქტის - „საქმისწამოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument)“ დანერგვის პროცედურები საქართველოს სამხარეო ადმინისტრაციებში, მუნიციპალიტეტებში, მერიებსა და საკრებულოებში.

მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში ზემოთაღნიშნული სისტემა დაინერგა კახეთის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციებში, ქუთაისის მერისა და საკრებულოში, ბათუმის მერისა და საკრებულოში, აჭარის ა/რ

მთავრობაში, აჭარის ა/რ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში. დანერგვამდე საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენლებმა ტრენინგები ჩაუტერეს აღნიშნული ორგანიზაციების საჯარო მოსამსახურეებს.

საქმისწამოების ავტომატიზებული სისტემის დანიშნულებაა საქმისწამოების პროცესების მაქსიმალური გამარტივება, ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია. სისტემა უზრუნველყოფს საოფისე დოკუმენტაციის ეფექტურ ელექტრონულ მართვას და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფ წვდომას. სისტემის საშუალებით მარტივად ხორციელდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესი (გაგრძელება გვ. 5).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4)

სისტემას ახასიათებს სიმარტივე და მოქნილობა მოხმარებისას; სამუშაოს შესრულებაზე დახარჯული დროისა და რესურსების მნიშვნელოვანი ეკონომია; ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირება და მუშაობის ხარისხის ზრდა; მენეჯმენტის გადაწყვეტილებების დროული მიღებისა და შესრულების მონიტორინგის პროცესის ოპტიმიზაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის იმპლემენტაცია და გამოყენება სამხარეო ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტებისთვის განხორციელდება უსასყიდლოდ.

## სამუშაო შეხვედრა ღია მმართველობის მონაცემების საკითხებზე

ევროკავშირის დამმობილების (TWINNING) პროექტის ფარგლებში 18-19 მარტს სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ გაიმართა სამუშაო შეხვედრის მეორე რაუნდი, რომელიც ღია მმართველობის მონაცემების (Open Government Data) საკითხებს მიეძღვნა.

სემინარზე მოწვეულმა ავსტრიელმა ექსპერტებმა საქართველოს სხვადასხვა საჯარო უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის წარმოადგინეს ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც ღია მმართველობის მონაცემების დამუშავებას, შენახვასა და ხელმისაწვდომობას უკავშირდება. ასევე განხილულ იქნა ღია მმართველობის მოდელების იმპლემენტაციის საშუალებები და ევროკავშირში ამ მიმართულებით არსებული გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ ღია მმართველობის პრინციპის ძირეული ადგილი უკავია ელ.საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტში.

## დამმობილების (TWINNING) პროექტი: მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ჟურნალისტებისთვის მეორე სემინარი გამართა



სემინარი თემაზე - „ელექტრონული მმართველობის გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით - ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება“ 2-22 მარტს ყვარელში, იუსტიციის სასწავლო ცენტრის კომპლექსში გაიმართა.

სემინარის მსვლელობისას მოწვეული აუდიტორია - ქართული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოში ელ-მმართველობის განვითარების ეტაპებს, არსებულ მდგომარეობას, შეხვდნენ ევროკავშირის მოწვეულ ექსპერტებს და მათგან მიიღეს ინფორმაცია ევროკავშირის ქვეყნებში ელექტრონული მმართველობის საკითხების გაშუქების საუკეთესო

გამოცდილების შესახებ. წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის თემატური ინფორმაცია. სემინარის მსვლელობისას გაიმართა სახვადასხვა სახის ჯგუფური განხილვა დამსწრე აუდიტორიის მონაწილეობით.

სემინარის მეორე დღეს იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩართულები არიან ელ.მმართველობის განვითარების პროცესში, ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია მათ უწყებებში მიმდინარე პროექტების შესახებ. პრეზენტაციები გააკეთეს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, იუსტიციის სახლის, ფინანსთა სამინისტროსა და კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა.

სემინარის საბოლოო მიზანია, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით საქართველოში ელექტრონული მმართველობის საკითხებისადმი მასშედიის წარმომადგენლებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, რათა შემდგომ უკეთ მოხდეს ამ თემების საზოგადოებისთვის გასაგები ფორმით გაშუქება.

## უსაფრთხო ინტერნეტი - CERT.GOV.GE-ს ახალი მომსახურება



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი CERT.GOV.GE მომხმარებლებს ახალ მომსახურებას - ისაფრთხო ინტერნეტს სთავაზობს. სააგენტოს თანამშრომლების მიერ აწყობილია უსაფრთხო DNS სერვერი, რომლის მოხმარების შემთხვევაშიც თქვენს ქსელში ავტომატურად იქნება დაბლოკილი ისეთი ვებგვერდები, რომლებიც კომპიუტერებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ.

საუბარია არასაბავშვო, დაინფიცირებულ და ე.წ. „ფიშინ“ ვებგვერდებზე. აღნიშნული მომსახურების გააქტიურებისას მაქსიმალურად მცირდება რისკი, რომ თქვენი კომპიუტერი დაინფიცირდეს. მომსახურება ხელმისაწვდომია

როგორც ორგანიზაციებისთვის, ისე კერძო პირებისთვის. იმისათვის, რომ ისარგებლოთ ახალი მომსახურებით, საკმარისია ჩვენი DNS მისამართები: **5.159.16.16** ან **5.159.20.20**

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ **“Unsubscribe”**.